ლიზი მეგრელიშვილი,

ალკალას უნივერსიტეტი, ესპანეთი

,,ესპანეთი, ჩემი რიგით მეორე გაცვლითი სემესტრი იყო კავკასიის უნივერსიტეტიდან. ვარშავიდან პირდაპირ მადრიდში, ესპანეთში წავედი, კონკრეტულად, ალკალას უნივერსიტეტში.

ესპანეთი ყოველთვის იყო ჩემი ოცნების ადგილი სწავლისა და ცხოვრებისათვის, მისი მრავალფეროვანი კულტურისა და არქიტექტურის გამო, რადგან საბაკალავრო პროგრამა, რაზეც Cu-ში ვსწავლობ, თანხვედრაშია ამ სფეროსთან. სწავლა ესპანეთში სრულიად განსხვავებული იყო საქართველოსა და პოლონეთში მიღებული გამოცდილებისგან. ესპანელების სწავლების მიდგომა ბევრად უფრო ორიენტირებულია შემოქმედებითობაზე, ვიდრე აღმოსავლეთ ევროპაში, რაც დამეხმარა ჩემი პროფესიისთვის ახალი კუთხით შემეხედა.

ალკალა შედარებით პატარა რაიონია, ამიტომ სტუდენტი იღებს ნამდვილ ესპანურ ქალაქში ცხოვრების გამოცდილებას და ამავე დროს 20 წუთის მატარებლის სავალზეა მადრიდის მრავალფეროვანი კულტურის მქონე ცენტრისგან. აქ არასდროს მოიწყენ! თუ ესპანელები სიესტას არ აწყობენ, მაშინ ისინი ფიესტაზე არიან.

უამრავ ვორკშოპზე და სემინარზე, ბევრი რამ გავიგე, როგორც ჩემს სპეციალობაზე, ასევე არამარტო. ამასთან ერთად, ეს არის შესანიშნავი ადგილი ენების სასწავლად - ჩემი ინგლისური და ესპანური შესამჩნევად გაუმჯობესდა.

ეს ყველაფერი შეუძლებელი იქნებოდა კავკასიის უნივერსიტეტის გარეშე, განსაკუთრებით საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის, არქიტექტურისა და დიზაინის სკოლის დეკან ქ. მარიამ მენაბდის, რომელიც ყოველთვის ცდილობს საუკეთესო შესაძლებლობები მისცეს თავის სტუდენტებს. ასევე, მადლობელი ვარ საოცარი ლექტორების, როგორიც არის თაკო ვალიშვილი, რომელიც გულწრფელად ზრუნავს სტუდენტების პიროვნულ და აკადემიურ განვითარებაზე.

ყველას ვურჩევ დარეგისტრირდეს Erasmus+ გაცვლით პროგრამაზე. არ შეგეშინდეთ გრძელი პროცესის ან უარის - არ იცით, რა შესაძლებლობები გელოდებათ. ეს იქნება დაუვიწყარი გამოცდილება ყველა სტუდენტისთვის!’’